საჯარო სამართლის იურიდიული პირი გრიგოლ წულუკიძის
სამთო ინსტიტუტის დირექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №

ქ. თბილისი იანვარი 2025 წ.

ვაკანტური სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ

სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა“-ს გენერალური დირექტორის №21 (18.02.2016) ბრძანებით დამტკიცებული სსიპ გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტის წესდების მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ და „ღ“ ქვეპუნქტების, მე-13 მუხლის 1-ლი პუნქტის და მე-15 მუხლის, მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ საქართველოს კანონის მე-10[7] მუხლის საფუძველზე, სსიპ სსსტც „დელტა“-სთან (წერილი №MOD 9 25 00036126, 17.01.2025 (შემ.№20, 20.01.2025)) შეთანხმებული და სსიპ გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მიერ (ოქმი №2, 20.01.2025) დამტკიცებული „საშტატო განრიგი და ხელფასის ფონდი“-ს შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

I. ინსტიტუტის საშტატო განრიგით განსაზღვრული ვაკანტური სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადდეს ღია კონკურსი:
   1. მიწისქვეშა ნაგებობათა მშენებლობისა და სამთო ტექნოლოგიების ცენტრის ანალიზური ქიმიისა და წიაღისეულის გამდიდრების ლაბორატორიის **მეცნიერი თანამშრომელის** (ორი საშტატო ერთეული);
   2. ფეთქებადი მასალების ექსპერტიზის, აფეთქებისგან დამცავი სტრუქტურების და მაღალტექნოლოგიური კომპოზიტების განყოფილების ფეთქებადი ნივთიერებების სინთეზის, ექსპერტიზის და აფეთქების ტექნოლოგიების ლაბორატორიის **მეცნიერი თანამშრომელის** (ერთი საშტატო ერთეული);
   3. ფეთქებადი მასალების ექსპერტიზის, აფეთქებისგან დამცავი სტრუქტურების და მაღალტექნოლოგიური კომპოზიტების განყოფილების პოლიმერული კომპოზიტების და მაღალტექნოლოგიური მასალების ლაბორატორიის **მეცნიერი თანამშრომელის** (ერთი საშტატო ერთეული);
   4. საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების და პროექტირების სამეცნიერო ცენტრის მეცნიერი თანამშრომელის (ერთი საშტატო ერთეული).

II. დამტკიცდეს ვაკანტური სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებლად ღია კონკურსის ჩატარების დებულება (დანართი №1), კონკურსის ჩატარების პირობები (დანართი №2) და განცხადების ფორმა (დანართი №3).

III. კონკურსი გამოცხადდეს 2025 წლის 24 იანვარს.

IV. ინფორმაცია კონკურსის ჩატარების შესახებ განთავსდეს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად შერჩეული ორგანიზაცი(ებ)ის და ინსტიტუტის ვებ-გვერდებზე.

V. შეიქმნას საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. ნიკოლოზ ჩიხრაძე - პროფესორი, კომისიის თავმჯდომარე, დირექტორი;
2. გიორგი ქართველიშვილი - კომისიის წევრი, დირექტორის მოადგილე - სამეცნიერო დარგში;
3. დავით ცანავა - კომისიის წევრი, დირექტორის მოადგილე საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების და პროექტირების სამეცნიერო ცენტრის კოორდინატორი;
4. ვერიჩკა მაჭარაშვილი - კომისიის წევრი, ადამიანური რესურსების და საქმისწარმოების სამმართველოს უფროსი, საიდუმლო საქმისმწარმოებელი;
5. ნიკა ბოჭორიშვილი - კომისიის წევრი, მიწისქვეშა ნაგებობათა მშენებლობისა და სამთო ტექნოლოგიების ცენტრის საბადოთა დამუშავების და სამთო გეოტექნიკის ლაბორატორიის უფროსი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი;
6. ასმათ შეყილაძე - კომისიის წევრი, მიწისქვეშა ნაგებობათა მშენებლობისა და სამთო ტექნოლოგიების ცენტრის ანალიზური ქიმიისა და წიაღისეულის გამდიდრების ლაბორატორიის უფროსი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი;
7. გიორგი ნოზაძე - კომისიის წევრი, მიწისქვეშა ნაგებობათა მშენებლობისა და სამთო ტექნოლოგიების ცენტრის საბაგირო სისტემების ლაბორატორიის უფროსი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი;
8. რობერტ სამადაშვილი - ფეთქებადი მასალების ექსპერტიზის, აფეთქებისგან დამცავი სტრუქტურების და მაღალტექნოლოგიური კომპოზიტების განყოფილების უფროსი, ფეთქებადი ნივთიერებების სინთეზის, ექსპერტიზის და აფეთქების ტექნოლოგიების ლაბორატორიის უფროსი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი;
9. სოფიკო კვინიკაძე - კომისიის წევრი, მფეთქებადი მასალების ექსპერტიზის, აფეთქებისგან დამცავი სტრუქტურების და მაღალტექნოლოგიური კომპოზიტების განყოფილების პოლიმერული კომპოზიტების და მაღალტექნოლოგიური მასალების ლაბორატორიის უფროსი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი
10. მირიან ჩუბუნიძე - საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების და პროექტირების სამეცნიერო ცენტრის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების ლაბორატორიის უფროსი - მთავარი გეოლოგი.

VI. კონკურსანტთა ელექტრონული განაცხადების მიღების და საორგანიზაციო საკითხების უზრუნველსაყოფად, შეიქმნას საკონკურსო კომისიის სამდივნო შემდეგი შემადგენლობით:

1. ნინო ასკილაშვილი - ადამიანური რესურსების და საქმისწარმოების სამმართველოს სპეციალისტი;
2. ელენე მალვენიშვილი - ადამიანური რესურსების და საქმისწარმოების სამმართველოს სპეციალისტი.
3. ოლღა ჩუდაკოვა - სამეცნიერო პროგრამების დეპარტამენტის სამეცნიერო პროექტების კოორდინატორი.

VII. ვაკანტური სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებლად კონკურსანტთა განაცხადების რეგისტრაცია დაიწყოს ადამიანური რესურსების და საქმისწარმოების სამმართველოს მიერ 2025 წლის 24 თებერვალს და დასრულდეს 2025 წლის 03 მარტს.

VIII. საკონკურსო კომისიამ, კონკურსის შედეგები, ვაკანტური სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებლად, წარმოადგინოს 2025 წლის 08 მარტამდე.

IX. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

დირექტორი ნიკოლოზ ჩიხრაძე